

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ეკომეტრი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2014 წლის 28 იანვარს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია 404464030, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესიკის ქ.#4-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 46/10). კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ნათია სალარაძე (პ.ნ. 01024022051), 50%-იანი წილის კი - შპს ფორსაიტ ინვესტმენტ გრუპ (ს/კ 404574331).

1.3. კომპანიის დირექტორია გრიგორი მორჩილაძე (პ.ნ. 01018002152).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მშენებლობა, კერძოდ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო მომსახურება

5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი

გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის

საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 5%;

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი & ინვენტარი - 20%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომრეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომრეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3,455.83	303,530.47
დოლარი საბანკო ანგარიშებზე	577.75	122,962.50
სულ:	4,033.58	426,492.97

3.2. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომრეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომრეობით
გაცემული სესხები	48,523.40	546,151.00
მისაღები პროცენტები	507,928.16	580,579.29
გადახდილი ავანსები	67,971.44	351,315.47
საგადასახადო აქტივი	10,914.88	209,356.15
სულ:	635,337.88	1,687,401.91

გადახდილი ავანსები შედგება გაცემული სესხების, მისაღები პროცენტების, მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსებისა და საგადასახადო აქტივისაგან. 2018 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს 2 იურიდიულ პირზე გაცემული სესხის ძირს და გადასახდელ პროცენტს, რომელთაგან ერთი წარმოშობილია 2017, ხოლო მეორე 2018 წელს გაცემული მოკლევადიანი სესხიდან, რომელიც პროცენტთან ერთად დაიფარა 2019 წელს.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 3 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	312,414	1,086,156

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები შედგება დაუმთავრებელი მშენებლობისგან და სამშენებლო მასალისგან, პროდუქციისგან შექმნილი სტრუქტურული სისტემა, რომლისგანაც შემდეგ იქმნება გასაყიდი პროდუქცია.

3.5. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები მოიცავს: მიწას, შენობა-ნაგებობას, მანქანა-დანადგარებს, ა/სატრანსპორტო საშუალებას, საოფისე ინვენტარს. ძირითადი საშუალება აღიარებულია შეძენის ღირებულების და დაგროვილი ამორტიზაციის შორის სხვაობით. დანახარჯები ძირითადი საშუალების მოვლა-შენახვაზე და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 527,342 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 350,370 ლარი.

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 ზრდა/კლება	2018 დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	331,882	(1,182,059)		1,513,941
ნაგებობები	22,282	-	1,266	23,549
მანქანა-დანადგარები	152,039	23,358	76,073	204,754
ოფისის აღჭურვილობა	5,452	1,647	1,897	5,702
ავტო და სხვა ინვენტარი	9,257	-	6,133	15,389
სატრანსპორტო საშუალებები	198,473	-	91,603	290,077
სულ:	719,386			2,053,412

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

3.7. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სესხები აღიარებულია კრედიტის ძირითადი თანხით. 2018 წლის ბოლოს შპს ეკომეტრს აქვს 5 გრძელვადიანი სესხი, ვითიბი ბანკიდან აღებული სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 621,409 აშშ დოლარს, ჰალივ ბანკიდან აღებული სესხი 525,320 ლარს.

3.8. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები 15,159,840 ლარი, ძირითადად შედგებოდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა, თანახმად რეალიზაციის პრინციპისა. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 9,768,062 ლარი, შედგება გაყიდული ფართის თვითღირებულებით და გახარჯული მარაგებით.

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

პროექტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები	(407,010)
საკონსულტაციო ხარჯები	(24,000)
საჯარო რეესტრი რეგისტრაცია	(17,156)
დაზღვევა	(17,150)
რეკლამის ხარჯები	(14,994)
საოპერაციო ხარჯები	(13,980)
ბანკის საკომისიო	(10,337)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(9,136)
მიწოდების ხარჯები	(6,660)
საგადასახადო ხარჯი	(6,074)
სხვა ხარჯი	(12,300)
სულ:	(538,798)

4.0. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

დადებითი საკურსო სხვაობები	1,116,228
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(567,548)
სულ:	548,681

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს.

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long trailing line that curves downwards and to the right.

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,034	426,493
სავაჭრო მოთხოვნები	312,414	1,086,156
გადახდილი ავანსები	635,338	1,687,402
მარაგები	-	-
- შპს პროდუქცია	-	-
- სხვა მარაგები	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	2,397,954	8,461,520
ბიოლოგიური აქტივები	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	719,386	2,053,412
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	4,069,126	13,714,983
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	628,023	2,393,193
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	980	2,180
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	67,688	213,327
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,970,806	13,346,544
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	80	-
სულ ვალდებულებები	2,667,577	15,955,244
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	249	249
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,401,299	(2,240,510)
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,401,549	(2,240,261)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,069,126	13,714,983

შპს "ეკომეტრი"-ს დირექტორი:



გროფორი მორჩილაძე

საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	15,159,840
საქონლის გაყიდვიდან	150
მომსახურების გაწევიდან	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	15,157,449
სხვა	2,242
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9,768,062)
საწყისი მარაგები	-
მარაგების შესყიდვა	-
გადამუშავების დანახარჯები	(9,768,062)
საბოლოო მარაგები	-
საერთო მოგება	5,391,778
სხვა შემოსავალი	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,511,321)
ცვეთა და ამორტიზაცია	(177,000)
საპროცენტო შემოსავალი:	37,812
საპროცენტო ხარჯი :	(87,521)
იჯარის ხარჯი	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(538,798)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,276,828)
საოპერაციო მოგება	3,114,950
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	-
ფინანსური აქტივები	-
მარაგები	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	548,681
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(21,154)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3,642,477
მოგების გადასახადი	(667)
მოგება/(ზარალი)	3,641,810
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-
სხვა	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(2,240,261)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	3,641,810
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,401,548

შპს "ეკომეტრი"-ს დირექტორი:



გრიგორი მორჩილაძე